სასკოლო კურიკულუმის განხორციელების ანგარიში

ავტორები:

თორნიკე ზაქარაძე

სკოლა თაობის, ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის წევრი.

ირაკლი მიქელაძე

სკოლა თაობის, ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის წევრი.

ბათუმი, 2025

წინასიტყვაობა

წინამდებარე ანგარიში განკუთვნილია სკოლა თაობის სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სასკოლო კურიკულუმი ჩვენთვის წარმოადგენს ერთგვარ შეთანხმებას / ანგარიშვალდებულებას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. რაც უფრო მაღალია შეთანხმებულობის და ანგარიშვალდებულების ხარისხი, მით უფრო მდგრადი და თანამიმდევრულია პროცესები, რაც დადებით გავლენას ახდენს მოსწავლეთა შედეგებზე.

კურიკულუმის განვითარება, როგორც ციკლური ბუნების მქონე პროცესი (კურიკულუმის შემუშავება, დანერგვა/განხორციელება, მონიტორინგი/შეფასება, გადასინჯვა/რევიზია), გულისხმობს სასწავლო პროცესში, წარმატებული გამოცდილების და გამოწვევების მუდმივ შესწავლას და რეფლექსიას პროცესების გაუმჯობესების მიზნით.

სასწავლო პროცესის ანალიზისა და შეფასებისთვის, წარმატებული გამოცდილების თუ გამოწვევების შესახებ ინფორმაციის მოგროვება ხორციელდება მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალ წყაროზე და რესურსზე დაყრდნობით. კერძოდ: მასწავლებლებთან ინდივიდუალურ სამუშაო შეხვედრებზე, კათედრებზე სამუშაო შეხვედრების დროს, პედსაბჭოს შეხვედრებზე, კონკრეტული მაგალითების განხილვით, ასევე ელექტრონული ჟურნალი schoolbook-ის პლატფორმაზე მასწავლებლის, კლასის, მოსწავლის პროფილის შესწავლით, მუდმივად ვაანალიზებთ მასწავლებლის მიერ საგნობრივ კურიკულუმით დაგეგმილ და ელექტრონული ჟურნალი schoolbook-ის პლატფორმაზე ასახული - შემოქმედებითი დავალებების პირობების, შეფასების კრიტერიუმების, სასწავლო შინაარსის, რესურსების ეფექტურობას და ვალიდურობას; მეთოდების/სტრატეგიების ეფექტურობას და ვალიდურობას. მოსწავლეთა ნამუშევრებს; მოსწავლეების, მშობლების და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების გამოკითხვის შედეგებს. დაგეგმილი და განხორციელებული სასკოლო პროექტების ეფექტურობას და შედეგებს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების ვალიდურობის და ეფექტურობის შედეგებს.

სასწავლო წლის დასრულებისთანავე დაიწყო კათედრების სამუშაო შეხვედრები, სადაც მასწავლებლები ხარისხის ჯგუფის ჩართულობით წარადგენდნენ განვლილ სასწავლო წელს განხორციელებული საგნობრივი კურიკულუმის რეფლექსიას. სამუშაო შეხვედრაზე კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარებით, განისაზღვრა წარმატებების წინაპირობა. სწორედ სამუშაო შეხვედრებზე რეფლექსიის შედეგად დანახული მიგნებები საფუძვლად დაედო კურიკულუმის გადამუშავებულ ვერსიას და აისახა ახალი სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმის პროექტში.

მნიშვნელოვანია, რომ მიგნებები და შეფასების შედეგები, რომელიც აისახა მიმდინარე ანგარიშში, გააზრებული და გაზიარებული იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ, გათვალისწინებული იყოს გადაწყვეტილებების მიღებისა და სამომავლო პერსპექტივების შეფასებისას.

სარჩევი

შესავალი ---------- 4

სწავლა-სწავლების პროცესის ორიენტირება ცნებების გააზრებასა და ფუნქციური უნარების გააქტიურებაზე ---------- 5

სწავლა-სწავლების პროცესის დაფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე ----------

ზრუნვასა და მხარდაჭერაზე ორიენტირებული სასკოლო კულტურის განვითარება ----------

დასკვნა ----------

ნიმუში

შესავალი

ჩვენი სკოლის მიზანია, მოსწავლეთა პიროვნული განვითარების უზრუნველყოფა. სკოლა „თაობა'' განსხვავდება სხვა სკოლებისაგან როგორც რესურსებით (იქნება ეს ადამიანური, ინფრასტრუქტურული თუ ფინანსური რესურსი), ასევე საკუთარი ინსტიტუციური მეხსიერებით, სასკოლო კულტურით, შესაძლებლობებითა და გამოწვევებით. შესაბამისად, ჩვენი სკოლის მოქმედების არეალიც და ხედვებიც განსხვავებულია. სწორედ სასკოლო კურიკულუმია მთავარი ინსტრუმენტი, რომელშიც ნათლად ჩანს მოსწავლეთა პიროვნული განვითარებისთვის გამოკვეთილი სკოლის ავთენტური ''გზა".

დირექტორის მიერ 06.09.2024 წ. №01-04/9 ბრძანებით დამტკიცებული სასკოლო კურიკულუმი შედგება კონცეპტუალური და ადმინისტრაციული ნაწილისგან და დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმებისაგან. სასკოლო კურიკულუმის კონცეპტუალურ და ადმინისტრაციულ ნაწილში აისახა - სკოლის მისია, მიზანი, სწავლის პრინციპები და შედეგები, მოსწავლეთა შეფასების სისტემის მექანიზმები, ასევე დეტალურად აღიწერა კურიკულუმის განვითარების (შემუშავება, განხორციელება, მონიტორინგი, შეფასება, რევიზია) ეტაპები სასკოლო საზოგადოების წევრების მონაწილეობის დონის და პერიოდის მითითებით. აღიწერა სკოლის დამხმარე და მმართველობითი პროცესები და კავშირი ძირითად/სასწავლო პროცესთან. აღიწერა სასწავლო წლის კალენდარი, საათობრივი ბადე, სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან და სკოლის კულტურის განვითარებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები (დამრიგებლის, კათედრების, კლუბების საქმიანობა....), ასევე აღიწერა საგნობრივი ჯგუფების მიზნები საფეხურების მიხედვით.

სასკოლო კურიკულუმის კონცეპტუალურ და ადმინისტრაციულ ნაწილის პროექტზე მუშაობდა ხარისხის ჯგუფი 2024 წლის ივლისი-აგვისტოს თვეში. შექმნილი პროექტი, უკუკავშირის და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების/დამატებების შეტანის მიზნით, გაუზიარდა სასკოლო საზოგადოებას - გადაიგზავნა სკოლის მესენჯერის ჩათებში, ასევე გაერთიანებულ პედსაბჭოს შეხვედრაზე წარედგინა მასწავლებლებს. რომლის შემდეგ საბოლოო ვარიანტი დამტკიცდა დირექტორის 06.09.2024 წ. №01-04/9 ბრძანებით. საჯაროობის მიზნით აიტვირთა სკოლის საიტზე და განთავსდა სკოლის შენობაში საინფორმაციო დაფებზე.

კურიკულუმის განხორციელების ანგარიში სამი თავისგან შედგება:

პირველ თავში „სწავლა-სწავლების პროცესის ორიენტირება ცნებების გააზრებასა და ფუნქციური უნარების გააქტიურებაზე'' აღვწერთ და შევაფასებთ: რა წარმატებით მიემართებოდა სასწავლო პროცესი მოსწავლეებში ცნებების შინაარსის გააზრებასა და ფუქნიცური უნარების გააქტიურებას, რამდენად ნათელი იყო გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირება. იყო თუ არა განსაზღვრული შუალედური მიზნები (საკითხები, შეფასების კრიტერიუმები, პროდუქტი) მოსწავლის/კლასის/საფეხურის საჭიროებების მიხედვით.

მეორე თავში „სწავლა-სწავლების პროცესის დაფუძნება კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე" აღვწერთ და შევაფასებთ: ცნებების შინაარსის გააზრება და ფუნქციური უნარების განვითარება მიიღწეოდა თუ არა კონსტრუქტივიზმის პრინციპის დაცვით, იყო თუ არა საგაკვეთილო პროცესში შემოქმედებით დავალებაზე მუშაობა, სწავლების ძირითადი მეთოდი.

მესამე თავში „ზრუნვასა და მხარდაჭერაზე ორიენტირებული სასკოლო კულტურის განვითარება" აღვწერთ და შევაფასებთ: მოსწავლეების პიროვნული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, რამდენად კეთდება აქცენტი სკოლაში დემოკრატიული სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებაზე, რა წარმატებით უწყობს სკოლა ხელს მასწავლებლის პროფესიულ განვითარებას და ზოგადად გამახვილებულია თუ არა ყურადღება სკოლაში ჰუმანური კაპიტალის განვითარებაზე.

თავი I. სწავლა-სწავლების პროცესის ორიენტირება ცნებების გააზრებასა და ფუნქციური უნარების გააქტიურებაზე

საკვანძო შეკითხვები:

- რამდენად მიემართება სასწავლო პროცესი ცნებების გააზრებასა და ფუნქციური უნარების გააქტიურებას?
- რამდენად ეფექტური და ვალიდურია სკოლის/მასწავლებლის მიერ განსაზღვრული შუალედური მიზნები?
- როგორ შეფასდა მოსწავლის მიღწევები?

სკოლის სასწავლო მიზნების ზედაპირული ინტერპრეტაციის თავიდან აცილების და შეკითხვაზე „როგორ"? სრულყოფილი პასუხის მიზნით, 2024 წლის აგვისტოში სკოლის ხარისხის ჯგუფმა შექმნა და მასწავლებლებს წარუდგინა საგნობრივი კურიკულუმის ახალი ჩარჩო, რომლის დიზაინი შესაძლებლობას იძლევა, საქმიანობის დაგეგმვისას მასწავლებლემა არ დაკარგონ გრძელვადიანი მიზნები თვალთახედვის არეალიდან, ნათლად გამოკვეთონ შეუალედური მიზნები და ორგანიზებულად დააკავშირონ თემის ფარგლებში დავალებები, შეფასება, რესურსი, საკითხი, მეთოდი/სტრატეგია. ესე იგი კურიკულუმის ჩარჩო/დიზაინს განვიხილავთ როგორც დანერგვის ფილოსოფიას და არა უბრალოდ კოსმეტიკას (გაგება დიზაინის მეშვეობით).

კურიკულუმის განხორციელების ანგარიში

მასწავლებლების ძირითადი ამოცანა 2024-2025 სასწავლო წელს, იყო კურიკულუმის ჩარჩო დიზაინში სასწავლო თემების ფარგლებში აესახათ წარმატებული გამოცდილება -დავალებების, შეფასების, რესურსების, მეთოდების მიმართულებით. რათა შემდგომში კათედრების თუ სხვა გაერთიანებულ სამუშო შეხვედრებზე მომხდარიყო დადებითი გამოცდილების გაზიარება და გამთლიანება, მოსწავლეთა პროგრესის უზრუნველსაყოფად.

აღნიშნული ამოცანა მეტწილად მიღწეულია 2024-2025 სასწავლო წლის ბოლოს ყველა მასწავლებლის მიერ საგნობრივ კურიკულუმებში და მასწავლებლების ნაწილის მიერ ასევე ელექტრონული ჟურნალი schoolbook-ის პლატფორმაზე იყო ასახული შემოქმედებითი დავალებების პირობები, შეფასების კრიტერიუმები, რესურსები, თემებში შერჩეული საკითხებით იყო წარმოჩენილი, თუ როგორ ხორციელდებოდა ცნებების გასააზრებლად საგნობრივი შინაარსის სტრუქტურირება და ორგანიზება.

დასახული ამოცანის მიღწევა განპირობებულია ხარისხის ჯგუფი-კათედრები-მასწავლებლების პერმანენტული ურთიერთკავშირით. მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ინდივიდუალურად მასწავლებლებთან იმართებოდა შეხვედრები, სადაც ხარისხის ჯგუფის წევრი და მასწავლებელი ერთობლივად განიხილავდნენ განხორციელებულ პრაქტიკას, საჭიროების შემთხვევაში შედიოდა ცვლილება დაგეგმილ კურიკულუმში. კონკრეტული მაგალითებით ხდებოდა შეფასების კრიტერიუმის და დავალების პირობის ვალიდურობის ანალიზი და საჭიროებისამებრ კორექტირდებოდა აღმწერები. თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს პროცესი ერთნაირი ინტენსივობით ვერ მიემართებოდა ყველა მასწავლებელს. კათედრის შეხვედრები საქმიან ხასიათს ატარებდა, ხარისხის ჯგუფის და მასწავლებლების მონაწილეობით მიმდინარეობდა მსჯელობა სასწავლო მიზნების შესახებ, ზიარდებოდა გზამკვლევები ცნებების პედაგოგიკის რეალიზების ხელშეწყობისთვის, თუმცა პირველ სემესტრში შეხვედრები უფრო ზეპირ მსჯელობით ხასიათს ატარებდა. მეორე სემესტრიდან კი განსაკუთრებით ბოლო შეხვედრებზე იყო მცდელობები წარმატებული პრაქტიკის მონიშვნისა და გაიზარების.

ამ ნაწილის შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ რომ - schoolbook-ის პლატფორმაზე მასწავლებლის, კლასის, მოსწავლის პროფილის მონიტორინგით, კათედრის თუ ინდივიდუალურ შეხვედრებზე, - დავალებების პირობების, შეფასების კრიტერიუმების, სასწავლო შინაარსის/საკითხების, რესურსების, მეთოდების/სტრატეგიების, მოსწავლეთა ნამუშევრების, განხორციელებული სასკოლო პროექტების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ სამივე საფეხურის საგნობრივ ჯგუფებში ერთი მხრივ არის აშკარა დადებითი დინამიკა და წარმატებული მცდელობები ცნებების პედაგოგიკის რეალიზების, მაგრამ გვაქვს მოცემულობები, როდესაც მასწავლებლის/კათედრის მიერ განსაზღვრულ შუალედურ მიზნებში:

დავალების პირობა და შეფასების კრიტერიუმი; დავალების პირობა და გამოყენებული სასწავლო რესურსი; შეფასების კრიტერიუმი და გამოყენებული სასწავლო რესურსი ნაკლებადაა ურთიერთდაკავშირებული ან/და ბუნდოვნად მიემართება ცნების/ცნებების გააზრებას.

ქვემოთ სამივე საფეხურზე, თითოეული საგნობრივი ჯგუფის ფარგლებში დეტალურად აღვწერთ და შევაფასებთ რამდენი შუალედური მიზანი იყო კლასების მიხედვით, რომელი ცნების შინაარსის გააზრებას მიემართებოდა დავალების პირობა და შეფასების კრიტერიუმი, რა ტიპის პროდუქტები იქმნებოდა დავალებაზე მუშაობით, რა იყო ძირითადი რესურსი.

დაწყებითი საფეხური

ქართული ენა და ლიტერატურა

ქართულ ენასა და ლიტერატურაში დაწყებით საფეხურზე სწავლა-სწავლების მიზანია ცნებების ტექსტი; სიტყვა, წინადადება და გრამატიკა(პრაქტიკული) შინაარსის გააზრება. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად მე2- მე6 კლასებში კათედრა/მასწავლებლები სასწავლო წლის განმავლობაში, თემების ფარგლებში განსაზღვრავდნენ შუალედურ სასწავლო მიზნებს (დავალების პირობა და შეფასების კრიტერიუმი, საკითხები).



გრაფიკი: 2024-2025 სასწავლო წლის შუალედური სასწავლო მიზნების რაოდენობა ქართული ენა და ლიტერატურა მე2-მე6 კლასები.

დაწყებით საფეხურზე ცნებები და თემატური არეალი ყველა კლასში ერთი და იგივეა, ამიტომ თვალშისაცემია შუალედური მიზნების რაოდენობის სხვაობა კლასების მიხედვით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რაოდენობა ვერ გამოდგება ხარისხის მდგენელად. დავალების პირობის, რესურსის და კრიტერიუმის ანალიზისას დეტალურად განვიხილავთ შუალედური მიზნების ვალიდურობას.

კურიკულუმის განხორციელების ანგარიში

შუალედური მიზნების (დავალება, შეფასების კრიტერიუმი, საკითხი/საკითხები) რაოდენობას მასწავლებლები კლასის საჭიროებების, დინამიკის, თუ მათი მუშაობის სტილით ხსნიან. თუმცა ქართულ ენასა და ლიტერატურაში 2024-2025 სასწავლო წლის შედეგების ანალიზმა დაგვანახა, რომ თემის ფარგლებში 1 შუალედური მიზნის გამოკვეთით ხშირად თვალთახედვის არეალიდან იკარგება სასაწვლო მიზნები, მოსწავლეებს უჭირთ პროცესის მთლიანობითი აღქმა და სასწავლო პროცესი ნაწევრდება რუტინულ გაკვეთილებად /საბოლოო პროდუქტად. ასევე რთულდება მოსწავლეთა პროგრესის დინამიკის დადგენა. მეორე მხრივ თემის ფარლგებში 4 და მეტი შუალედური მიზნის გამოკვეთით, მეტწილად დავალებაში მიმდინარეობს ერთი ან ორი ქვეცნებაზე მუშაობა, რაც ართულებს ქვეცნებების/ცნებების ურთიერთდაკავშირებას.

სწორედ ამ დაკვირვებაზე დაფუძნებით, 2025 წლის ივნისში კათედრის სამუშაო შეხვედრაზე შეთანხმდა, რომ ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში თითოეულ კლასში განისაზღვროს 9-11 შუალედური სასწავლო მიზანი, აღნიშნული რაოდენობა საშუალებას მოგცვცემს ცნებათა/ქვეცნებათა ურთიერთდაკავშირებულად გააზრებაზე მუშაობას და მოსწავლეთა პროგრესის ოპტიმალური დინამიკით დადგენას.

წინა სასწავლო წლებთან შედარებით, ქართულ ენისა და ლიტერატურის დაწყებით საფეხურზე აშკარა წინსვლაა - მასწავლებლის მიერ შემუშავებულ შუალედურ მიზანში (შეფასება და დავალების პირობა) ნათლად იყო ასახული რომელი ცნების გააზრებას მიემართებოდა პროცესი. ეს განაპირობა ხარისხის ჯგუფის-კათედრის-მასწავლებლის განგრძობითმა ურთიერთთანამშრომლობამ. ინდივიდუალურ თუ საერთო შეხვედრებზე განიხილებოდა კონკრეტული მაგალითები, საჭიროებისამებრ მასწავლებელი ცვლიდა შეფასების კრიტერიუმს/რესურსებს. თუმცა კვლავ გამოწვევად რჩება პროცესის მთლიანობითი აღქმა, კრიტერიუმების ვალიდური შემუშავება, რესურსთა მოსწავლეების ინტერესების თუ მზაობის მიხედვით მობილიზება.

კურიკულუმის განხორციელების შესწავლისას მნიშვნელოვანი იყო დაგვედგინა დაწყებით საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მიმდინარეობდა თუ არა ყველა ცნების გააზრებაზე მუშაობა.



გრაფიკი: 2024-2025 სასწავლო წელს, რომელი ცნებები აქტიურდება მეტად ქართული ენა და ლიტერატურა მე2-მე6 კლასები

ნიმუში

საგნობრივი კურიკიკულუმის ჩარჩოსა და schoolbook-ის პლატფორმაზე მასწავლებლების მიერ აღწერილი დავალების პირობის და კრიტერიუმის, ასევე გამოყენებული რესურსების ანალიზისას, გამოიკვეთა რომ 2024-2025 სასწავლო წელს მასწავლებლის/კათედრის მიერ შემუშავებული შუალედური მიზნები ძირითადად შეეხებოდა ცნება ტექსტის და ცნება სიტყვა, წინადადების დამუშავებას, ხოლო ცნება გრამატიკის დამუშავება იშვიათად ხდებოდა. ქართული ენა და ლიტერატურის ცნებათა სტრუქტურა იძლევა საშულებას, სასწავლო პროცესში ურთიერთდაკავშირებულად მოხდეს ცნებებზე მუშაობა. ამისათვის საჭიროა ქვეცნებეზე ორიენტირებით, დავალების პირობით და შეფასების კრიტერიუმით სწორად განვსაზღვროთ ცნებათა ურთიერთდაკავშირების არეალი.

ერთია ასახო რომელი ცნების/ცნებების გააზრებაზე მუშაობს მასწავლებელი კლასთან, თუმცა მნიშვნელოვანი იყო დაგვედგინა:

1. ცნების ქუდის ქვეშ სხვადასხვა დავალებაში ყველა ქვეცნება მუშავდებოდა?

საგნობრივი კურიკიკულუმის ჩარჩოსა და schoolbook-ის პლატფორმაზე მასწავლებლების მიერ აღწერილი დავალების პირობის და კრიტერიუმის, ასევე გამოყენებული რესურსების ანალიზმა ცხადყო, რომ ქართულ ენასა და ლიტერატურის დაწყებით საფეხურზე მე2-მე6 კლასებში ძირითადად ერთი და იგივე ქვეცნებები მუშავდებოდა. ასე მაგალითად ცნება ტექსტის ქუდის ქვეშ ყოველთვის დავალება/შეფასება მიემართებოდა ტექსტის შინაარსობრივ მხარეს (მთავარი იდეა/დედააზრი, პერსონაჟი). ტექტის ენობრივი მხარე (თემატური ლექსიკა;მხატვრული ხერხები/ტროპები - ეპითეტი, შედარება, ჰიპერბოლა; წარმოებული სიტყვები, რთული სიტყვები, მარტივი ფრაზეოლოგიზმები, სინონიმები, ანტონიმები) 20% და ტექსტის სტრუქტურა 15% შემთხვევაში იყო გააქტიურებული. იგივე გამოწვევა გვქონდა ცნება სიტყვა, წინადადების მიმართებით, ცნების ქუდის ქვეშ 85% შემთხვევაში დავალება/შეფასება მიემართებოდა თხრობას (მისი სამნაწილიანი სტრუქტურით) და აღწერას (აღწერის შემადგენელი ნაწილებით ელემენტებით). ხოლო დასაბუთება 15% იყო გააქტიურებული. ცნება გარამატიკა(პრაქტიკული) შემთხვევაში მეტად მუშვდებოდა მართლემტყველება და მართლწერა, იშვიათად მორფლოგია და სინტაქსი.

2. რამდენად ჯეროვანი იყო აღწერილი დავალების პირობა,შეფასების კრიტერიუმები?

ჯეროვნად აღწერილი დავალების პირობა და შეფასების კრიტერიუმი გულისხობს, რომ მასწავლებლის მიერ შემუშავებულ დავალების პირობასა და შეფასების კრიტერიუმში ნათლად უნდა იყოს ასახული რომელი ცნების/ქვეცნების გააზრებას მიემართება შეფასება, ასევე გულისხმობს რამდენად ზუსტად არის შერჩეული აღმწერები. დავალება და შეფასების კრიტერიუმი ისე უნდა აღიწეროს, რომ მკაფიოდ წარმოჩინდეს რაკურსი რომელზე ორიენტირებითაც წარიმართება სასწავლო პროცესში ცნების/ცნებების გააზრება. ესე იგი უნდა აღიწეროს - რის შექმნას ვთხოვთ მოსწავლეს, რა პირობების გათვალისწინებით უნდა შექმნას მოსწავლემ პროდუქტი და როგორ დაადასტურებს თავის ცოდნას შესწავლილ საკითხზე.

ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხარისხის ჯგუფის-კათედრის-მასწავლებლის პერმანენტული თანამშრომლობის შედეგად, *2-მე6 კლასებში ქართული ენისა და ლიტერატურაში 47 შუალედური მიზნიდან (დავალება, შეფასება, საკითხი/საკითხები) 31 -ში იყო ჯეროვნად აღწერილი დავალების პირობა/შეფასების კრიტერიუმი. 16 შუალედურ მიზანში კი მიუხედავად ინტენსიური უკუკავშირისა, აღწერილი დავალების პირობა ან/და შეფასების კრიტერიუმი იყო ბუნდოვანი.* იხილეთ მაგალითები მკაფიოდ და ბუნდოვნად აღწერილი დავალების პირობის/შეფასების კრიტერიუმის.

თემა „ოჯახი". ჯეროვნად აღწერილი *დავალების პირობა:* შექმენი **ზღაპარი,** რომელშიც შესაბამისი სიტყვებით გადმოცემ *ოჯახის წევრების მიერ ერთმანეთის პატივების და თანადგომის ისტორიას*.

ზღაპარს უნდა ჰქონდეს **სათაური.** ჰყავდეს სულ მცირე **სამი პერსონაჟი.** ზღაპრის ტექსტში გამოიყენე სულ მცირე **ორი კითხვითი წინადადება და ერთი ეპითეტი.**

შეფასების კრიტერიუმი. ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას:

ახსენი რატომ არის შენს მიერ შექმნილი დავალება ზღაპარი;

დაასახელე რა სათაური შეურჩიე შენს ზღაპარს და ახსენი რატომ.

ახსენი რომელი სიტყვები მიგვანიშნებს, რომ ზღაპარი შეეხება ოჯახს.

იმსჯელე პერსონაჟების შინაგან სამყაროზე (ქცევაზე, მოტივაციაზე) მოიყვანე მაგალითები ზღაპრის ტექსტიდან.

დაასახელე რომელი ეპითეტი გამოიყენე ზღაპარში და ახსენი რატომ.

ახსენი რატომ არის შენს მიერ გამოყენებული კითხვითი წინადადებები კითხვითი.

არაჯეროვნად აღწერილი: დავალების პირობა: აირჩიე შესწავლილი ტექსტიდან სასურველი პერსონაჟი და დაახასიათე ის.

შეფასების კრიტერიუმი. ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას:

შეარჩიე შესაბამისი ლექსიკა;

გამოიყენე შესაბამისი გრამატიკული ნორმები.

3. გამოყენებული რესურსი (მასალა/საკითხი) დავალების პირობიდან/შეფასების კრიტერიუმიდან გამოდინარე იყო შერჩეული?

ჯეროვნად აღწერილი დავალების პირობით და შეფასების კრიტერიუმით მკაფიოდ წარმოჩენა რაკურსის, რომელზე ორიენტირებითაც წარიმართება პროცესი არის აუცილებელი თუმცა არასაკმარისი პირობა. კურიკულუმის განხორციელების ანალზისას, პირობის საკმარისობისთვის მნიშვნელოვანი იყო დაგვედგინა მასწავლებლების მიერ გამოყენებული სასწავლო რესურსები (დასამუშავებელი მასალა/საკითხი), რამდენად მიემართებოდა ცნების გასააზრებელ დავალებას და შეფასების კრიტერიუმებს. მნიშვნელოვანია გააზრება, რომ პირველადია ცნებებზე მიმართული შეფასების კრიტერიუმები და ამის საფუძველზე რესურსთა მობილიზება.

საგნობრივი კურიკიკულუმის ჩარჩოში და schoolbook-ის პლატფორმაზე მონიშნული რესურსების, დავალების პირობის და შეფასების კრიტერიუმის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ ქართულ ენასა და ლიტერატურაში *2-მე6 კლასებში 47 შუალედური მიზნიდან (დავალება, შეფასება, საკითხი/საკითხები) 42 -ში მასწავლებლის მიერ შერჩეული რესურსები (საკითხები, მასალა) გამომდინარეობდა შეფასების კრიტერიუმიდან და დავალების პირობიდან.* რაც დადებითი დინამიკის მაჩვენებლია რესურსთა ვალიდურობის მხრივ. აღნიშნულს ნაწილობრივ გრიფირებული სახელმძღვანელოც განაპირობებს, მაგრამ გრიფირებულ სახელმძღვანელოზე ერთმნიშვნელოვან ორიენტირებას აქვს აშკარად გამოკვეთილი სუსტი მხარეები, რომელსაც მე4 და მე5 ასპექტების აღწერისას შევაფასებთ.

4. დავალებები იყო შემოქმედებითი ბუნების და იძლეოდა მრავალფეროვანი პროდუქტის შექმნის შესაძლებლობას?

დავალების პირობის და შეფასების კრიტერიუმის ზუსტი აღწერა მნიშვნელოვანია, თუმცა ყველა მოსწავლესთან სასწავლო მიზნების (ცნებების შინაარსის გააზრება) მიღწევა შესაძლებელია, მხოლოდ მაშინ როცა მასწავლებლის მიერ შეთავაზებული დავალება არის შემოქმედებითი ბუნების და იძლევა შესაძლებლობას მოსწავლემ მრავალი ფორმით დაადასტუროს თავისი ცოდნა. ამ პრინციპის დაცვა საკვანძოა ინკლუზიური განათლების იდეის /მოსწავლე სუბიექტის პარადიგმის რეალიზებისთვის.

საგნობრივი კურიკიკულუმის ჩარჩოში და schoolbook-ის პლატფორმაზე მასწავლებლების მიერ აღწერილი დავალებების პირობის, მოსწავლეების მიერ შექმნილი პროდუქტების და სწავლის შედეგების ანალიზმა ცხადყო, რომ მე2-მე6 კლასებში ქართულ ენასა და ლიტერატურაში წინა წლებთან შედარებით(როდესაც დავალებები ძირითადად მიემართებოდა საკითხის მოყოლას, გამეორებას და არა ახლის შექმნას) 2024-2025 სასწავლო წელს შეთავაზებული დავალებები უფრო მეტ შემთხვევაში იყო შემოქმედებითი ბუნების, ესე იგი მოსწავლეებს უწევდათ ცოდნის შეძენა, კეთებით/შექმნით ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. დავალების პირობა წინა წლებისაგან განსახვევებით, ფორმულირებული იყო ისე, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები შემოჰქონდა (წარმოიდგინე რომ ხარ რეჟისორი, ჟურნალისტი, ავტორი, პოეტი, მწერალი.....). თუმცა დავალების პირობა და საბოლოო პროდუქტი შუალედურ მიზნებში ხშირად მეორდებოდა, ანუ იცვლებოდა შეფასების კრიტერიუმი თუმცა პირობა და პროდუქტი ერთი და იგივე იყო. ასე მაგალითად 47 შუალედური მიზნიდან ძირითადად პროდუქტი რასაც ითხოვდა დავალებების პირობა იყო კომიქსი, ზეპირი მოხსენება, წერილი, ღია ბარათი...



გრაფიკი: 2024-2025 სასწავლო წელს, ქართული ენა და ლიტერატურა მე2-მე6 კლ. დავალების პირობით გათვალისწინებული ძირითადი პროდუქტები.

შექმნილი პროდუქტების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ ხშირად გამეორებადი პროდუქტი (მაგალითად ზეპირი მოხსენება), მოსწავლეების ნაწილში იწვევს ინტერესის დაკარგვას სასწავლო პროცესისადმი. დავალების პირობის თუ პროდუქტის ხშირად გამეორების ძირითადი განმაპირობებელი არის მხოლოდ გრიფირებული სახელმძღვანელოთ ხელმძღვანელობა და მასში მოცემული პირობა/პროდუქტის პირდაპირ გადმოტანა. რაც თავისთავად ართულებს მოსწავლეთა/კონკრეტული კლასის ინტერესების და მზაობის მიხედვით პროცესის წარმართვას.

ცნებების პედაგოგიკა და დავალებების შემოქმედებითი ბუნება იძლევა შესაძლებლობას მოსწავლეებმა მრავალფეროვანი პროდუქტი შეექმნან(ზღაპარი, იგავი, მოთხრობა, ლექსი, დიალოგი, სცენარი.....) ეს ერთი მხრივ შესაძლებლობაა სხვადასხვა დავალებაში მოსწავლეებმა ცნებები მრავალი მაგალითით გაიაზრონ (მაგალითად ცნება ტექსტი-ჟანრი შეიძლება იყოს მოთხრობა იგავი...), ასევე ეს მისცემს მოსწავლეებს შესაძლებლობას გამოხატონ აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და მათთვის ეფექტური საშუალებით. ამისათვის აუცილებელია დავალების პირობის ფორმულირება მოხდეს არა გრიფირებული სახელმძღვანელოს მიხედვით, არამედ მასწავლებელმა/კათედრამ შექმნას ის წარმატებული გამოცდილების და კლასის ინტერესის შესაბამისად. თუ მასწავლებელი/კათედრა სწორად განსაზღვრავს თემაში რა სახეს იძენს ცნებების გააზრება ესე იგი თუ სწორად განსაზღვრვას შეფასების კრიტერიუმს,თავისთავად შესაძლებელია AI-ს როგორც ინსტრუმენტის გამოყენება, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს დავალების პირობა მეტად შემოქმედებითი/მრავალფეროვანი იყოს და გაითვალისწინოს თითოეული მოსწავლის ინტერესი თუ მზაობა.

5. სასწავლო რესურსი იძლეოდა მოსწავლის სწავლის სტილის, ინტერესების, მზაობის გათვალისწინებით დიფერენცირების შესაძლებლობას?

დაწყებით საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში განსაზღვრულია სამი თემატური ბლოკი - I. ადამიანი და მისი ცხოვრება II. სამყაროს შეცნობა, ახლის ძიება III. მარადიული ძიებები/ფასეულობები. თითოეულ თემატურ ბლოკში გაერთიანებულია შესაბამისი სასწავლო თემები (მე და ჩემი თანატოლები, თავისუფალი დრო, მშობლიური გარემო, სიკეთე, სამართლიანობა და ა.შ.), რომელიც წარმოადგენს მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტს და საფუძველს ქმნის ცნებების შინაარსის გააზრებისთვის. აღსანიშნავია, რომ მასწავლებელს/კათედრას აქვს შესაძლებლობა თემები შეარჩიოს ან თუნდაც შექმნას კლასის ინტერესების მიხედვით. <u>სავალდებულო არ არის</u> ყველა თემის, საკითხის გავლა/ჩავლა. ასევე ხაზგასასმელია, რომ თემები ზოგადი და ნაცნობი კონტექსტის მატარებელია (თავისუფალი დრო, სიკეთე.....) რაც კონკრეტულ მოსწავლეებთან მიმართებით ქმნის შესაძლებლობას გამოყენებული რესურსები იყოს მრავალფეროვანი. ესე იგი ქართულ ენასა და ლიტერატურაში დაწყებით საფეხურზე, მასწავლებელს აქვს სრული თავისუფლება და მეტიც სკოლა ახალისებს, საკითხავი ლიტერატურის, წიგნის თუ სხვა რესურსთა მრავალფეროვნებას. სკოლის გაცხადებული პოზიციაა, რომ მხოლოდ გრიფირებული სახელმძღვანელოს გამოყენება შეუძლებელს გახდის დიფრენცირებული მოსწავლის საჭიროებების მიხედვით სასწავლო პროცესის წარმართვას.

საგნობრივი კურიკიკულუმის ჩარჩოში და schoolbook-ის პლატფორმაზე მონიშნული რესურსების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ თემებში ცნებების შინაარსის გასააზრებლად ქართულ ენასა და ლიტერატურაში მე2 მე6 კლასებში 55% შემთხვევაში გრიფირებულ სახელმძღვანელოსთან (შესაბამისად გრიფირებულ წიგნში არსებული მასალა) ერთად სხვა წასაკითხი/ბეჭდური ან/და ვიდეო რესურსიც გამოიყენება.



გრაფიკი: 2024-2025 სასწავლო წელს, გრიფირებულ სახელმძღვანელოსთან ერთად გამოყენებული სხვა რესურსები ქართული ენა და ლიტერატურა მე2-მე6 კლასები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ გრიფირებული სახელმძღვანელოს „სასწავლო პროგრამად'' აღქმა შეუძლებელს ხდის როგორც დავალების პირობის და პროდუქტის მრავალეფეროვნებას, ასევე სასწავლო რესურსის მოსწავლეების ინტერესების და მზაობის მიხედვით მობილიზებას.

რესურსების საკითხზე დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ წინა წლებთან შედარებით დაწყებით საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში არის დადებითი დინამიკა მრავალფეროვნების მხრივ, მასწავლებლები შინაარსის გასააზრებლად, გრიფირებულის გარდა იყენებენ სხვა რესურსებს. თუმცა კვლავ გამოწვევად რჩება გრიფირებულ სახელმძღვანელოზე ''მიჯაჭვულობა''. სახელმძღვანელოს პროგრამად აღქმა და ძირითადად მასზე ორიენტირება. აღვნიშნავთ, რომ დიფერენცირებაში არ იგულისხმება თემის ან საკითხის დიფერენცირება, ვინაიდან ქართულ ენასა და ლიტერატურაში დაწყებით საფეხურზე თემები (ანუ სასწავლო შინაარსი) ზოგადი და ნაცნობი კონტექსტის მატარებელია (თავისუფალი დრო, სიკეთე.....) ეს დადებითი მოცემულობა კონკრეტულ მოსწავლეებთან მიმართებით ქმნის შესაძლებლობას თემა (შინაარსი) იყოს საერთო ხოლო შინაარსის გასააზრებლად გამოყენებული რესურსები იყოს მრავალფეროვანი. აქაც შესაძლებელია/მისასალმებელია AI-ს როგორც ინსტრუმენტის გამოყენება, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს როგორც დავალების პირობის მეტად შემოქმედებითად/მრავალფეროვანად ფორმულირებაში ასევე თითოეული მოსწავლის ინტერესის თუ მზაობის სასწავლო შინაარსის გასააზრებლად მრავალფეროვანი რესურსის მობილიზებაში.

6. შეფასება იყო ვალიდური, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური და სანდო?

შეფასებაზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ სკოლა იზიარებს და ნერგავს პრინციპს, რომლის მიხედვითაც სწავლება და შეფასება ერთიანი, განუყოფელი საერთო პროცესია - **შეფასება როგორც სწავლება** (Assessment **as** learning). ესე იგი თანამშრომლობით სწავლების რეალიზება შესაძლებელია, მხოლოდ **შეფასება როგორც სწავლება** პრინციპების დაცვით. რამდენად რეალიზდება სკოლაში ეს პრინციპი, დეტალურად ანგარიშის მეორე თავში შევაფასებთ. შეფასების *ინსტრუმენტის* (კრიტერიუმის) ვალიდურობა ზემოთ (იხ გვ 9-10) უკვე განვიხილეთ და აღვნიშნეთ, რომ 47 შუალედური მიზნიდან (დავალება, შეფასება, საკითხი/საკითხები) 31 -ში შეფასების კრიტერიუმი ვალიდური იყო, ესე იგი ნათელი იყო რომელი ცნების გააზრებას მიემართებოდა და ზუსტად იყო შერჩეული შეფასების აღმწერი კრიტერიუმში. ანგარიშის ამ ნაწილში კი გავიაზრებთ ქართულ ენასა და ლიტერატურაში დაწყებით საფეხურზე შეფასების *პროცესის* გამჭვირვალობის, სამართლიანობის, ობიექტურობის და შეფასების *მტკიცებულების* სანდოობის საკითხს.

schoolbook-ის პლატფორმაზე კლასების პროფილის მონიტორინგისას, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებისას გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში შეფასების პროცესი მეტწილად გამჭვირვალეა. ესე იგი მასწავლებლები კლასს/მოსწავლეებს ახალის საკითხის დაანონსებისთანავე გააცნობს შეფასების კრიტერიუმებს. ანუ მოსწავლე წინასწარ ინფორმირებულია შეფასების კრიტერიუმების შესახებ. წინა წლებთან შედარებით ეს წინგადადგმული ნაბიჯია. აღსანიშნავია, რომ შეფასების კრიტერიუმების წინასწარ გაცნობა

საკვანძოა როგორც გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად ასევე სკოლაში აღიარებული სწავლების მეთოდის (შემოქმედებით დავალებაზე მუშაობა) რეალიზებისთვის (დეტალურად მეორე თავში განვიხილავთ).

შეფასების გამჭვირვალობა (წინასწარ გაცნობა) გულისხმობს როგორც გაკვეთილზე კრიტერიუმების დაანონსებას, ასევე schoolbook-ის პლატფორმაზე აღწერას. მეორე მექანიზმის რეალიზების მხრივ არის გამოწვევა. ქართულ ენასა და ლიტერატურის დაწყებით საფეხურზე ჯერჯერობით ერთმნიშვნელოვნად და სრულად არ არის რეალიზებული აღნიშნული. ესე იგი მასწავლებლების მხოლოდ ნაწილი ტვირთავს და აღწერს სრულყოფილად შეფასების კრიტერიუმებს schoolbook-ის პლატფორმაზე.

schoolbook-ის პლატფორმაზე კლასების პროფილის მონიტორინგისას, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებისას, შეფასების ინსტრუმენტის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში სრულად არის უზრუნველყოფილი <u>შეფასების პროცესის სამართლიანობა.</u> ესე იგი შეფასების დრო, გარემო, გამოყენებული მასალა, ინფრასტრუქტურა....საშუალებას აძლევს მოსწავლეს ჩაერთოს პროცესში და დაადასტუროს მიღწეული შედეგები.

schoolbook-ის პლატფორმაზე კლასების/მოსწავლეების პროფილის მონიტორინგისას, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებისას, მასწავლებლის მიერ გაკეთებული განმავითარებელი შეფასების, მე5 და მე6 კლასებში კი ასევე განმსაზღვრელი შეფასების შესწავლით, მოსწავლეების ნაშრომის შესწავლით დადგინდა, რომ დაწყებით საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში <u>შეფასების პროცესი ობიექტურია.</u> ესე იგი ერთ დონეზე შესრულებული ყველა დავალება ერთნაირადაა შეფასებული, სხვადასხვა დონეზე შესრულებული დავალებები კი სხვადასხვაგვარადაა შეფასებული.

შეფასების პროცესის გამჭვირვალობის (მეტწილად) სამართლიანობის და ობიექტურობის (სრულად) უზრუნველყოფა 2024-2025 სასწავლო წელს დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი ჯგუფის ერთ-ერთი მთავარი მიღწევაა.

ქართული ენასა და ლიტერატურაში დაწყებით საფეხურზე შეფასების <u>მტკიცებულების სანდოობას</u> 2024-2025 სასწავლო წელს უზრუნველყოფდა თითოეული მოსწავლის სადიაგნოსტიკო ტესტის ნაშრომში და ნაწილობრივ შემოქმედებითი დავალებით მოსწავლეების მიერ შექმნილი პროდუქტი, თუ პროცესში შესრულებული სხვადასხვა ტესტი. ესე იგი თითოეული შეფასებული მოსწავლისთვის არსებობს მტკიცებულება სადიაგნოსტიკო ტესტის ნაშრომის სახით და შესაძლებელია შესაფასებელი/შეფასებული მოსწავლის იდენტიფიცირება. თუმცა *<u>შემდგომი სასწავლო წლისთვის მნიშვნელოვანია გარდა სადიაგნოსტიკო ტესტების ნაშრომისა, მეტად თანიმდევრულად შეგროვდეს მოსწავლის სხვა ნამუშევრები/ტესტები. ეს ერთი მხრივ უზრუნველყოფს მეტ სანდოობას და ამავდროულად მოგვცემს შესაძლებლობას სრულყოფილად დავადგინოთ მოსწავლის პროგრესი/დინამიკა ცნებების გააზრების მხრივ.</u>*

7. მოსწავლეებს ჰქონდათ პროგრესი ცნებების შინაარსის გააზრების მიმართულებით?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართულ ენასა და ლიტერატურაში დაწყებით საფეხურზე სწავლების მიზანია ცნებების ტექსტი; სიტყვა, წინადადება და გრამატიკა(პრაქტიკული) შინაარსის გააზრება. ცნებები განსაზღვრულია მთელი საფეხურის და არა კონკრეტული წლის ან თემის ფარგლებში. მათ გააზრებაზე განგრძობითად, მთელი კურსის/საფეხურის მანძილზე, მიმდინარეობს მუშაობა. კურსის განმავლობაში ერთსა და იმავე ცნებებზე მუშაობა განსხვავებულ სასწავლო თემებში/შინაარსში (სემესტრის, წლის განმავლობაში იცვლება სასწავლო თემები/შინაარსი თუმცა, გრძელვადიანი სამიზნე ცნებები უცვლელი რჩება.), ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებას, თითოეული მათგანისთვის მუდმივი განვითარების შესაძლებლობების ზრდას. მოსწავლეს აღარ აქვს მოკლევადიანი ნიშნულები გადასალახი ყოველ გაკვეთილზე ესე იგი შედეგი არ არის საგნობრივ საკითხთან გადაჯაჭვული არამედ არის განვითარებადი მთელი საფეხურის განმავლობაში.

შედეგები განვითარებადი და მიზნები გრძელვადიანია, ზუსტად ამიტომ თანმიმდევრულობისთვის, სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხის მართვისთვის გადამწყვეტი მნიშველობა აქვს მონაცემების შეგროვებას იმასთან დაკავშირებით, თუ: რამდენად გაუმჯობესდა მოსწავლეთა შედეგები წინა წლებთან შედარებით? რა მიზეზებმა განაპირობა სწავლის შედეგების გაუმჯობესება/გაუარესება? ამ ტიპის მონაცემების ანალიზი ქმნის საფუძველს არგუმენტირებული გადაწყვეტილებების მისაღებად სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.თითოეული ზემოაღნიშნული ასპექტის (რესურსების, დავალებების, მასალის, შეფასების კრიტერიუმის...) აღწერა და შეფასებაც სწორედ ამის დადგენას ემსახურებოდა. სკოლაში აპრობირებულია მონაცემების შეგროვების ორი მეთოდი: დიაგნოსტირების ჩატარება საკლასო წერის ფორმატში და მონაცემების შეგროვების პროცესის დაფუძნება სასკოლო კურიკულუმით გათვალისწინებულ შუალედურ სასწავლო მიზნებზე.

დაწყებით საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში პროგრესში იგულისხმება - *იმ საკითხების ფარგლებში რაც გაიარა კლასმა შემოქმედებით დავალებაზე მუშაობისას მოსწავლის პროგრესი სამიზნე ცნებების გააზრების მიმართულებით.* ***შემოქმედებითი დავალების შეფასების რუბრიკაში მოცემული კრიტერიუმების ანალიზით.***

თითოეული მოსწავლის ცოდნის დონე/პროგრესი ფასდება თითოეულ გრძელვადიან მიზანთან/სამიზნე ცნებასთან მიმართებით. ეს შეფასება სკოლაში ყველა საგანში ოთხ დონედ იყოფა:

- **მოცემულობის გააზრების პრობლემა** - მოსწავლე ვერ იგებს სამიზნე ცნების გააქტიურებაზე ორიენტირებულ შეკითხვებს; არ/ვერ ერთვება სამიზნე ცნების შინაარსის გააზრებაზე ორიენტირებულ აქტივობებში; საკითხის შინაარსს ვერ უკავშირებს სამიზნე ცნებას;

- **ცნების ფრაგმენტული გააზრება** - მოსწავლე პასუხობს სამიზნე ცნების გააქტიურებაზე ორიენტირებულ შეკითხვებს; ერთვება სამიზნე ცნების შინაარსის გააზრებაზე ორიენტირებულ აქტივობებში, მეტწილად იხსენებს/ასახელებს/ჩამოთვლის შინაარსთან დაკავშირებულ მოცემულობებს თუმცა:

- ვერ ახერხებს ცნებასთან დაკავშირებული სხვადასხვა მოვლენის/ფაქტის/შინაარსის შედარებას, განსხვავებას. (აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა საკითხთან/ცნებასთან დაკავშირებით)
- ვერ ახერხებს ცნების შინაარსის გაანალიზებას. ვერ ავითარებს მსჯელობას.

▪ **ცნების იდეის დონეზე გააზრება** - მოსწავლე საკითხის/მაგალითების შინაარსს აღწერს და უკავშირებს სამიზნე ცნებას, თუმცა:
- მის ანალიზი და მსჯელობა შეიცავს ფაქტობრივ შეცდომებს; ან/და
- მის მიერ გაკეთებული დასკვნები/განზოგადებები ფრაგმენტული და არათანმიმდევრულია;

▪ **ცნების სიღრმისეული გააზრება** - მოსწავლე;
- კრიტიკულად და ურთიერთდაკავშირებულად, იაზრებს და აანალიზებს სამიზნე ცნებასთან დაკავშირებულ ფაქტებსა და მოვლენებს;
- ავითარებს მსჯელობას სამიზნე ცნებასთნ დაკავშირებულ საკითხებთან დაკავშირებით (მოჰყავს მაგალითები, ადარებს სხვა საკითხებს...);
- ურთიერთადაკავშირებულად აანალიზებს სამიზნე ცნების არსებით ნიშან-თვისებებს (მკვიდრ წარმოდგენებს);
- *კონკრეტულ სამიზნე ცნებას უკავშირებს საგნის სხვა სამიზნე ცნებებს.*
- ***განაზოგადებს ცნებას, ქმნის და აყალიბებს ჰიპოთეზას/თეორიას/კრიტიკას. აკავშირებს ცნებას ზესაგნობრივ ცნებებსა თუ თეორიებთან.***

მოსწავლეების და მასწავლებლების პროფილის ანალიზმა ცხადყო, რომ 2024-2025 სასწავლო წელს დაწყებით საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში, წინა წლებთან შედარებით არის წინსვლა, მასწვალებლების/კათედრის მიერ მოსწავლეთა პროგრესზე მონაცემების ჯეროვნად და მეტად გააზრებულად მოგროვება/ანალიზის მხრივ (წელს ეს პროცესი დაეფუძნა ცნებების შინაარსის გააზრებისკენ მიმართულ კრიტერიუმების ანალიზს, მოსწავლეთა სადიაგნოსტიკო ტესტების ნაშრომებს ცნებების ჭრილში და არა ზოგად, ბუნდოვან შეფასებებს.) შესაბამისად მასწავლებლების მიერ აღწერილი მოსწავლეთა პროგრესი/შედეგები წინა წლებთან შედარებით მეტად ობიექტური და ზუსტია. თუმცა ვინაიდან შემოქმედებით დავალებაზე მუშობის პროცესი როგორც სწავლების მეთოდი, ჯერჯერობით ქართული ენის და ლიტერატურის დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა ნაწილის მიერ არ არის რეალიზებული(დეტალურად მეორე თავში), შემოქმედებითი დავალების შეფასების კრიტერიუმით მოსწავლეთა პროგრესის დადგენა ხორციელდება არათანმიმდევრულად შესაბამისად აღნიშნული ვერ გამოდგება სანდო წყაროდ. შესაბამისად მასწავლებლების მიერ schoolbok-ის პლატფორმაზე თუ კურიკულუმში გაკეთებული მოსწავლეთა პროგრესის/შედეგების აღწერა 2024-2025 სასწავლო წელს მეტწილად დაეფუძნა სადიაგნოსტიკო ტესტის ასევე შემაჯამებელი დავალებების (მე5 მენკლ) შედეგებს.

ესე იგი 2024-2025 სასწავლო წელს წინა წლებთან შედარებით ქართულ ენასა და ლიტერატურის დაწყებით საფეხურზე უკეთ ვადგენთ მოსწავლეთა შედეგებს ცნებების შინაარსის გააზრების მიმართულებით. თუმცა ვინაიდან მონაცემების მოგროვება სრულფასოვნად ვერ ხორციელდება შემოქმედებით დავალებიდან-დავალებამდე მონაცემების ანალიზით, ამ ეტაპზე ზუსტად ვერ ვადგენთ მოსწავლეთა პროგრესს. ესე იგი უკეთ ვადგენთ სასწავლო წლის ბოლოს შედეგს, ხოლო სასწავლო წლის განმავლობაში პროგრესს ნაკლებად.











გრაფიკი: 2024-2025 სასწავლო წელს, ქართული ენა და ლიტერატურა მე2-მე6 კლ, ცნებების გააზრების დონე.

მოსწავლეთა შედეგების ანალიზი მე2 მე6 კლასებში აჩვენებს ერთსა და იმავე ტენდეციას, კერძოდ:

- თითოეულ კლასში ცნების სიღრმისეული გააზრება ყველაზე მეტად მიემართება ცნება ტექსტს, შემდეგ ცნება სიტყვა, წინადადებას და ყველაზე ნაკლებად ცნება გრამატიკას;
- თითოეულ კლასში სამივე ცნებასთან მიმართებით ყველაზე ხშირია იდეის დონეზე გააზრება, შემდეგ ფრაგმენტულად გააზრება;
- თითოეულ კლასში სამივე ცნების სიღრმისეული გააზრება ხდება ერთი და იგივე მოსწავლეების მიერ. ანუ ყველა ის მოსწავლე, რომელიც სიღრმისეულად იაზრებს ცნება გრამატიკის და ცნება სიტყვა, წინადადების შინაარსს არიან იმ მოსწავლეების ნაწილი რომლებიც იაზრებს ცნება ტექსტს სიღრმისეულად.
- თითოეულ კლასში ცნების გააზრების პრობლემა მიემართება ერთდროულად სამივე ცნებას და გააზრების პრობლემა აქვთ ერთსა და იმავე მოსწავლეებს. ანუ თუ მოსწავლე ვერ იაზრებს ცნება ტექსტის შინაარსს, ის ვერ იაზრებს ასევე ცნება სიტყვა, წინადადების და ცნება გრამატიკის შინაარსს.

აღნიშნული მონაცემები პირდაპირ კავშირშია ზემოაღწერილ ასპექტებთან:

- ცნება ტექსტის სიღრმისეული გააზრება გამოწვეულია იმით, რომ 2024-2025 სასწავლო წელს მასწავლებლის მიერ შემუშავებული შუალედური მიზნები ძირითადად შეეხებოდა ცნება ტექსტის დამუშავებას, შესაბამისად მოსწავლეები მთელი წელი სხვადასხვა საკითხებში იაზრებდნენ ცნება ტექსტის შინაარსს. ცნება გრამატიკის ფრაგმენტულად ან სულაც ვერ გააზრება კი გამოწვეულია იმით, რომ მასწავლებლის მიერ თემებში გამოყოფილი შუალედური მიზნები იშვიათად მიემართებოდა გრამატიკის ფუნქციურად სხვა ცნებებთან ერთად დამუშავებას. მასწავლებლები გრამატიკას საკმარის დროსაც კი უთმობდნენ თუმცა განცალკევებით ამუშავებდნენ (შუალედური მიზნის გარეთ ცალკე გაკვეთილებად). რამაც გამოიწვია გრამატიკის ცნების ფრაგმენტული გააზრება.
- მოსწავლეთა აბსოლუტური უმრავლესობის მიერ ცნებების იდეის დონეზე და ფრაგმენტულად გააზრების გამომწვევი მიზეზია ერთი მხრივ სხვადასხვა ქვეცნებაზე ნაკლები ორიენტირება (მაგალითად აქცენტი მხოლოდ ცნება ტექსტის შინაარსზე და ენობრივი მხარის ან სტრუქტურის არ გააქტიურება). საკითხებად სწავლება. შემოქმედებით დავალებებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის ნაცვლად სალექციო სწავლების გამოყენება, რაც ართულებს სიღრმისეულ გააზრებას. (დავალების პირობის და შეფასების კრიტერიუმის დაანონსების შემდეგ, სწავლება ნაცვლად კრიტერიუმებზე ორიენტირებისა და თანამშრომლობითი სწავლებისა, ხშირად წარიმართება რუტინული ტრადიციული პედაგოგიკით, სასწავლო პროცესი რამდენიმე გაკვეთილი ლექცია/სემინარის ფორმატშია და ბოლოს ხდება დავალების წარდგენა. ეს კი შეუძლებელს ხდის სიღრმისეულ გააზრებას).
- თითოეულ ცნებასთან მიმართებით ერთი და იგივე მოსწავლეების წარუმატებლობა დიდწილად განპირობა - გრიფირებული სახელმძღვანელოს როგორც პროგრამის აღქმამ, რესურსთა ნაკლებმა დიფერენცირებამ მოსწავლეების საჭიროებების, ინტერესის მიხედვით. დავალების პირობის და პროდუქტის ერთფეროვნებამ - ესე იგი მოსწავლეების წინარე ცოდნის გაუთვალისწინებლობამ.

კურიკულუმის განხორციელების ანგარიში

პირველ კლასში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლა-სწავლების მიზანია ცნებების წარმოთქმული და დაწერილი სიტყვა და დეკოდირება-კოდირება გააზრება, ანუ მოსწავლემ პირველ კლასში მოსწავლეებმა უნდა განივითარონ ზეპირმეტყველება (სიყვების ხმოვანი ხატი), წერის(სიტყვის გრაფემული ხატი)და კითხვის უნარი. 2024-2025 სასწავლო წელს ქართული ენისა და ლიტერატურაში პირველ კლასში მოსწავლეებმა შეძლენ ზემოაღნიშნული ცნებების გააზრება. განსაკუთრებით წარმატებული იყო მეორე სემესტრში განხორციელებული სასწავლო პროცესი, რომელიც მიემართებოდა ანბანის შემდგომ პერიოდს.

2024-2025 სასწავლო წლის დასრულებიდან რამდენიმე დღეში (16 ივნისს) გაიმართა ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებით საფეხურის მასწავლებლების და ხარისხის ჯგუფის სამუშაო შეხვედრა. ძირითადი მიზანი იყო - 2024-2025 წლის შედეგების განხილვა/ანალიზის საფუძველზე, შემდეგი წლის სასწავლო პროცესის ერთობლივი დაგეგმვის დაწყება (შემოქმედებითი დავალებების, შეფასების კრიტერიუმების, სასწავლო შინაარსის, რესურსების) და ასახვა ჩარჩო დიზაინში. მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანი იყო მასწავლებლებს აღეწერათ და ემსჯელათ რამდენად აძლევდა სასწავლო პროცესში შესრულებული დავალებები, სწავლების მეთოდები, შინაარსი, რესურსები მოსწავლეს ცოდნის/საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალებას და რამდენად შეუწყო ხელი სასწავლო პროცესმა მოსწავლის ფუნქციური უნარების გააქტიურებას. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისთვის, აუცილებელი იყო მასწავლებლებს ეპასუხათ საკვანძო შეკითხვებზე - რა წარმატებული გამოცდილება დამიგროვდა დავალებების, შეფასების, რესურსების, შინაარსის მხრივ სასწავლო წლის მანძილზე? რა იყო მთავარი გამოწვევა?

სამუშაო შეხვედრის პირველ ნაწილში თითოეულმა მასწავლებელმა წარმოადგინა 2024-2025 სასწავლო წელს განხორციელებული კურიკულუმი (ჩარჩო დიზაინით) სადაც მასწავლებელი კონკრეტული მაგალითებით, მოსწავლეების შედეგებაზე დაყრდნობით აზიარებდა თავის წარმატებულ გამოცდილებას და გამოწვევებს. გამოიკვეთა საერთო სურათი - წარმატებულ გამოცდილებად ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებით საფეხურის ყველა მასწავლებელს მონიშნული ჰქონდა შემოქმედებითი დავალებების ის პირობები რომელიც საინტერესო პროდუქტის შექმნას ითხოვდა (მაგალითად მოსწავლეებს უნდა შეექმნათ ზღაპარი). ასევე წარმატებულ გამოცდილებად მასწავლებლების ნაწილი თვლის გრიფირებულის გარდა სხვა რესურსის შეტანას, რომელმაც უზრუნველყო მეტი ჩართვა (მაგალითად ტომ სოიერის თავგადასავალი როგორც მთავარი მასალა, რომელზე დაფუძნებითად მოხდა ცნებების გააზრება, თემაში „მეგობრობა"). წარმატებულ პრაქტიკად მონიშნეს მასწავლბლებმა საკითხის/ტექსტზე აუჩქარებლად მუშაობა (ანუ როდესაც საკითხთა ჩავლა/ჩარბენა არ ხდებოდა).

ვინაიდან მასწავლებლებს ამ ეტაპზე ნაკლებად აქვთ ერთმნიშვნელოვანი პასუხი სასწავლო პროცესში წარმატებასა თუ გამოწვევაზე, მოსწავლეთა შედეგზე დაყრდნობით სამუშაო შეხვედრაზე ერთობლივად მთავარ გამოწვევად გამოვკვეთეთ - შემოქმედებითი დავალების პირობით და შეფასების კრიტერიუმებით გამოკვეთილ ცნებებზე/ქვეცნებებზე ფორმალური ორიენტირება და შესაბამისად ნაცვლად შემოქმედებითი დავალებაზე დაფუძნებული სწავლებისა ძირითადად კვლავ საკითხთა სწავლება. შესაბამისად შემოქმედებითი დავალების მხოლოდ საბოლოო პროდუქტად და არა პროცესად აღქმა. დიდი გამოწვევაა მხოლოდ გირფირებულ სახელმძღვანელზე ორიენტირებით დაგეგმვა, დიდი გამოწვევაა ქვცენებებზე ყურადღების არ გამახვილება.

სწორედ ზემოაღნიშნულს გათვალისწინებით, შეხვედრის მეორე ნაწილი დაეთმო თითოეულ კლასში ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვას ერთი თემის ფარგლებში. მასწავლებლებთან ერთად ცნებებზე და ქვეცნებებზე ორიენტირებით გამოიკვეთა თითოეულ კლასში ერთი თემის ფარგლებში, შუალედური მიზანი (დავალების პირობა, კრიტერიუმი, საკითხავი ლიტერატურა) და აისახა ახალი სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში, ასევე აისახა ახალი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში 2024-2025 წლის წარმატებული დავალებები, კრიტერიუმები და რესურსები.

თსუ